თიბისი ბანკი

Terminal Server - კონფიგურაციის ცვლილების პროექტი ფილიალებში

სატენდერო დოკუმენტაცია

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

I. ტენდერში მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 17.07.2025წ. 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
იოსებ გოლუბიანი 595 117 755 IGolubiani@Tbcbank.ge

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და შემოთავაზებული წინადადებით დააკმაყოფილებს გამოცხადებულ პირობებს.
- თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შემთხვევაში ბანკი უფლებას იტოვებს გადაწყვეტილება მიიღოს საავანსო მოთხოვნის გათვალისწინებით.
- გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს სრული ინფორმაცია.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

II. შესყიდვის ობიექტი

მომსახურე კომპანიამ თიბისი ბანკის ყველა ფილიალში (იხ. სატენდერო დანართი N2) და სერვის-ცენტრში ტერმინალებზე (ყველა მომხმარებელთან) უნდა გააკეთოს ტერმინალის პროგრამული ცვლილება, რაც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

- მომხმარებლის ახალ მისამართზე შეყვანა (RDP)
- MS Outlook-ის გამართვა + ხელმოწერა
- Mfiles ვოლტების დაყენება
- Bookmark ების გადმოტანა
- გარეთ თხელ კლიენტზე tsprint ის პარამტერების ცვლილება

სამუშაოები უნდა შესრულდეს არაუმეტეს 60 კალ. დღის ვადაში, სასურველია 30 კალ. დღე. სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა ყველა ფილიალში და სერვის-ცენტრში ფიზიკური ვიზიტი.

III. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და საქონლის დეტალური განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- სრულად შევსებული და ხემოწერილი KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;